# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

080 პარასკევი, 12 თებერვალი 1910 წ. № 8

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

დედა ნადეჟდა დიმიტრის ასული, ოლგა ფეოდორას ასული და დიდედა ბარბარე ატეფანეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 12 თებერვალს, 2 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი

ალექსანდრა (შურა) ფეოდორას ასული პიშკინას

სულის მოსახსენებლათ. (2—2)

სახალხო უნივერსიტეტი.

კვირას, 14 თებერვალს

ნ. ე. ერმოლოევი წაიკითხავს ლექციას:

პოლიტიკურ ეკონომიაზე

ლექციის შემდეგ გაიმართება

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გავრიშევა, სოლოდიანი, დავიდოვისა. ბ-ნი: ვართანოვი, გოფმანი და ჩაროვი.

ძმები პალცევები დაუკრავენ სკრიპკაზე

დასაწყისი დილის 11 საათზე· აკომპანიმენტი მ. ფ. ზეიცი.

ბილეთების ფასები 5 კაპ. და 10 კაპ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში ისე თედო დოლიძესთან და აგრეთვე რკინის გზის სახელოსნოში: «სბორნი» ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი“ ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი“ ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების“ დეპოში ნ. ისტეროვთან, ქართველთა გამომც. ამხ. სტამბაში ბ. მიკირტუმოვთან, საქონლის სადგურში გ. ფილიასთან, „ტრამვაიში“ ალაძესთან, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილთან, „შრომის“ სტამბაში ნესტორ ცინცაძესთან.

ქართული თეატრი

„ჯეჯილის“ საიუბილეო დილის წარმოდგენა

კვირას, დილით, 14 თებერვალს 1910 წ.

წარმოდგენილი იქნება: საბავშო ერთმოქმედებიანი ვოდევილი

I

„მდგმური“

„ჯეჯილიდან“

II

კრილოვის იგავ-არაკნი

წაიკითხავენ გრიმებსა და ტანისამოსებში

III

მუსიკალური

განყოფილება.

IV

ცოცხალი სურათი

დასასრულ

მილოცვა

„ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის სახსოვრათ.

დასაწყისი სწორეთ დილის 12 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში:

დილის გამგე ექ. მესხისა რეჟისორი ნ. გვარაძე.

ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 13 თებერ. 1910 წ.

ქართული სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I

კოცნა პირველი და უკანასკნელი

ფსიხოლოგიური ეტიუდი 1 მოქ. თარგ. ს. ტარიაშვილისა.

II

უბედური დღე

ვოდ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძისა.

III

დატრიალდა ჯარა

ვოდ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა.

IV

საკონცერტო განყოფილება

ადგილების ფასი 5 კ. 25 კ.-დე.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ადმინისტრატორი კოსინკოვი

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა ავჭალის ქუჩა № 34.

ფირშალი

ლეონტი ბარკალაია

ცრისიყვავილს. იღებს ყელ-ქირვების, ხუნაგის და ვენერულის სენით ავთმყოფებს 3—6 საათამდის

ადრესი: გოლოვინის ქუჩა, № 68.

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

## სახელმწიფო დუმა.

(სააგენტო დეპეშ.)

10 თებერვალი.

თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. მესამეჯერ იხილავენ იმპერიის ქალაქების და დაბების უძრავ ქონებებზე გადასახადების დაწესების შესახებ კანონ-პროექტს. მომხსენებელი ლერხე მხარს უჭერს საფინანსო კომისიის შესწორებას გავრცელებულ იქნას კანონ-პროექტი პოლონეთზედაც. ფინანსთა მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი აცხადებს, რომ სამინისტროს არაფერი არა აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ კანონ-პროექტი პოლონეთზედაც გავრცელდეს, იმ პირობით, რომ გადასახადი ათი პროცენტი იყოს, სანამ პოლონეთში საქალაქო დებულებას შემოიღებდენ. კორიაკინი აცხადებს ოქტომბრისტების სახელით, რომ ხმას მისცემს საფინანსო კომისიის შესწორებას. კამათს იწვევს გადასახადის შემცირება. პურიშკევიჩი აცხადებს, რომ, უკეთუ პოლონეთში შემცირდა გადასახადი, ეს მეტ ზარალს დააწვება იმპერიას. კენჭის ყრით — 166 ხმით წინააღმდეგ 121 ხმისა დუმა ღებულობს ფინანსიურ კომისიის შესწორებას. ღებულობენ ლერხეს მიერ წამოყენებულ ფორმულას შემოღებულ იქნას გადასახადები აგრეთვე პოლონეთის დაბებში. შემდეგ დუმა ღებულობს კომისიის რედაქციით პროექტის დანარჩენ მუხლებს, დღის სხდომა იხურება.

საღამოს სხდომაზე ხომიაკოვის თავმჯდომარეობით აცხადებენ 34 წევრის მიმართვას შინაგან და ვაჭრობის მინისტრთადმი, თავისუფალ ფლოტის მიმოსვლის წეს-რიგის შეუდგენლობის გამო, რასაც შედეგათ მოყვა 11 მეთევზის დაღუპვა და 31 წევრის მიმართვას ვაჭრობის მინისტრისადმი: რით აიხსნება, რომ სავაჭრო მოსამსახურეთა დაქირავების შესახებ კანონ-პროექტის შემუშავება ასე დაგვიანდა. ნეკრასოვი მხარს უჭერს განცხადებას. ვაჭრობის მინისტრი აცხადებს, რომ კანონ-პროექტი უკვე შემუშავებულია და ჩქარა წარადგენენ დუმაში. კენჭის ყრით დუმა ერთხმათ ღებულობს მიმართოს მთავრობას ამ კითხვებით. შემდეგ დუმა განაგრძობს კამათს ოპოლის კითხვის შესახებ მთავრობის განმარტებაზე. ლაპარაკობს ლვოვი პირველი, ლვოვი მეორე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ოპოლის საქმეში მთავრობა უკანონოთ მოიქცა. ამასვე ამბობს ჟუკოვსკიც.

დასასრულ დუმა ანაწილებს დღეებს ბიუჯეტის განსახილველათ. დღის სხდომები მოხდება ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს. ოთხშაბათობით საღამოს შეკითხვებს განიხილავენ. შემდეგი სხდომა დანიშნულია პარასკევს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 თებერვალი

### სპარსეთი

**თავრიზი.** ენჯუმენი. გენერალ-გუბერნატორი, სათარ-ხანი და ბაგიმ-ხანი დიდის ამბით შეხვდენ ყარაბაღიდან დაბრუნებულ ეფრემს თავის კავკასიელი ფიდაებით.

### საზღვარ-გარეთ

**ბერლინი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს რეიხსტაგში, პოლონელმა მარეისკიმ განაცხადა, რომ პოლონელები მოითხოვენ გამოიცეს განსაკუთრებული კანონი უცხოელების გერმანიაში ცხოვრების შესახებ. ამით ბოლო უნდა მოეღოს პოლიციის მიერ უცხოელების გამეფებას.

**ზუნტაპორტი.** შაქრის პლანტაციების გაფიცულ მუშებს და ჯარს შეტაკება მოუვიდათ. მოკლეს სამი მუშა, დასჭრეს მრავალი. გაფიცულებმა პლანტაციები გადასწვეს.

**ბერლინი,** „ფოსს. ცაიტ“ დეპეშით ატყობინებენ ათინიდან: უკანასკნელ დღეებში სამხედრო ლიგის დასაცავათ და მის წინააღმდეგ მანიფესტაციები მოხდა. ამ გარემოებამ გაამაგრა სასახლის პარტია. შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ვოლოში, პარისს და კარდიცში მზათ იყოს მატარებლები.

**ბუდაპეშტი.** იუსტის პარტიის თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც აცხადებს, რომ ბოსნიის კონსტიტუცია ყალბია, რადგან ის უნგრეთის მთავრობის თანხმობით არ გამოცხადებულა.

### რუსეთი.

**კომისარჟევსკაიას გარდაცვალება.** კოკანდი. სისხლის მოწამვლის გამო გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი ქალი კომისარჟევსკაია.

**იაროსლავლი.** მოსკოვის სამოსამართლო პალატამ ყოველივე ღირსება-უფლების ჩამორთმევა და გადასახლება გადაუწყვიტა იაროსლავლის ყოფილ მოსამართლეს ლებედევს და ვაჭარ სუშჩევის ქალს, 1906 წელს მთავრობის საწინააღმდეგო საზოგადოებაში მონაწილეობისათვის.

**პეტერბურგი.** სენატმა გაამართლა შუშის მაზრის ყოფილი უფროსი გერასიმოვი და მისი თანაშემწე სპარსკი, რომელთაც თფილისის სამოსამართლო პალატის მიერ ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ქონდათ გადაწყვეტილი უკანონო მოქმედებისათვის.

## უკანასკნელი ფოსტა

### საზღვარ-გარეთ

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისათვის.** რეიხსტაგში ისევ დიდი დღეა. განსახილველია სოციალ-დემოკრატების შეკითხვა კანცლერის უმართებულ და რეიხსტაგის შეურაცხმყოფელი სიტყვების ხმარების შესახებ. კავშირთა საბჭო მთელი შედგენილობით, რომელსაც კანცლერი მეთაურობს, რეიხსტაგშია. დარბაზი და ლოჟები ხალხით გაჭედილია. ს.-დემოკრატების მხრით ორატორათ გამოდის ფრანკი, რომელსაც ეკუთვნის შეკითხვის დასაბუთება.

ორატორის სიტყვა თავიდანვე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე. პრეზიდიუმი ყურებ აცქვეტილი, ორატორის ყოველ სიტყვას შიშით და ძრწოლით ისმენს. მსმენელების მღელვარება ყოველ წუთის შემდეგ საგრძნობლათ მატულობს. ყველა კონფლიქტის მოლოდინშია.

„ჩვენ მოვითხოვთ პასუხს კანცლერის მიერ ლანდტაგში წარმოთქმულ სიტყვაზე,—ამბობს ორატორი, — კანცლერის ვალია დაიცვას კონსტიტუცია. რეიხსტაგი კონსტიტუციონური მმართველობის ორგანოა. რა დაემართებოდა კანცლერის, რომელიც გაბედავდა და რეიხსტაგში განაცხადებდა, რომ მონარქის ზოგიერთი სიტყვები ხალხის ზნეობაზე გამრყვნელ გავლენას ახდენსო? შეეძლო ასეთ კანცლერს თავის თანამდებობაზე გაჩერება თუნდა ერთ საათს მაინც?

ორატორს სიტყვას აწყვეტინებენ. ასტყდება ხმაურობა, მოისმის ყვირილი. პრეზიდენტი ორატორს წესიერებისაკენ მოუწოდებს. საერთო ხმაურობის დროს ფრანკი იძახის:

პრეზიდენტი ძალიან აჩქარდა თავისი შენიშვნებით. მე მინდოდა მხოლოდ ის მეთქვა, რომ იმპერატორის ტიტული და რეიხსტაგი ერთ დღეს გაჩნდენ ქვეყანაზე. რეიხსტაგი ისეთივე პატივით მოპყრობას მოითხოვს, როგორც სამეფო გვირგვინის მატარებელი და არავის ნებას არ მისცემს დაცინვით მოეპყრას მას. მონარქის სახელის ხსენება ტყუილათ გაშინებსთ. მასთან შედარებით რეიხსტაგიც თანასწორი უფლებებით სარგებლობს.

შემდეგ ორატორმა კრიტიკა გაუკეთა საარჩევნო რეფორმის პროექტს და განაცხადა, რომ სოციალდემოკრატებს არ ეშინიათ მსხვერპლის და დემონსტრაციების გამართვას მანამდე არ მოიშლიან, სანამ არ გაიმარჯვებენ. „რ. ს.“ გადმოცემით მთავრობის საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ ილაპარაკეს აგრეთვე ცენტრის და თავისუფალ მოაზრეთა ორატორებმა.

**საერთო გაფიცვის მოლოდინში.** ბერლინში საერთო გაფიცვას მოელიან. ამ საკითხმა სერიოზული კამათი გამოიწვია პროფესიონალურ კავშირში. გაფიცვის მიზანი იქნება პროტესტი გამოაცხადონ მთავრობის საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ.

### შორეული აღმოსავლეთი.

**ტერორისტული მოძრაობა ინდოეთში.** ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული მოძრაობა ინდოეთში დღითი-დღე იზრდება. ამ გარემოებამ ინგლისის მთავრობა დიდ საგონებელში ჩააგდო. შემოღებულ იქნა სასტიკი თვალ-ყურის დევნება იმ მოგზაურთადმი, რომელნიც ინდოეთში მიდიან. 15 იანვარს ბომბეიაში, გემ „სიდნეიზე“, რომელიც მარსელიდან მივიდა, დაატუსაღეს ერთი ინდიელი. მას სამგზავრო კალათებში უნახეს ბრაუნინგები, ყუმბარების დასამზადებელი ნივთიერებანი და დიდ-ძალი პროკლამაციები. ეს პროკლამაციები მიმართულია ინდოელებისადმი და მოუწოდებს ინგლისის ბატონობის ჩამოსაგდებათ. გემ „მაკედონიაზედაც“ მთავრობას უნდოდა დაეჭირა ვინმე ინდოელი, რომლის ნივთებში აღმოაჩინეს იარაღები, ყუმბარები და პროკლამაციები. ინდოელმა წინა სადგურზე მოასწრო გადასვლა და დაჭერას გადარჩა.

### ახლო-აღმოსავლეთი

**დარბევის მოლოდინში.** დიარბეკირიდან გაზეთ „ბაქოს“ ატყობინებენ, რომ იქ რეაქციონერები ბატონათ გრძნობენ თავს. დიარბეკირის და სლივანის ოლქის მცხოვრებლებმა შობა-ახალ-წლის დღეები დიდი შიშის მოლოდინში გაატარეს. ქურთები შეიარაღებულები დადიან და იმუქრებიან, რომ მოკლე ხანში მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტას დაიწყებენ...

სლივანის და ფარზინის ოლქებში დაარსდა ახალი ორგანიზაციები „სულთან აბდულ-გამიდის“ სახელით.

### რუსეთი.

**სტუდენტების გაფიცვა.** სამთო ინსტიტუტის სტუდენტთა საზოგადო კრებამ, რომელიც 8 თებერვალს მოხდა, 540 ხმის უმრავლესობით 40-ის წინააღმდეგ დაადგინა: რადგან პროფესორთა საბჭომ არ დააკმაყოფილა სტუდენტების მოთხოვ[illegible] გომლობა, რომ სტიპენდიები იმდენ სტუდენტს დანიშნოდა, რამდენსაც აქამდე ქონდა და, რადგან იმავე პრ. საბჭომ სტუდენტებს ნება არ დართო სტუდენტების წრეების და ორგანიზაციების დაარსების,—შესწყდეს სწავლა ინსტიტუტში სამი დღით.

**დუმბაძის განკარგულება.** გენ. დუმბაძემ ბრძანება გასცა იალტიდან გადასახლებულ იქნან ებრაელთა ოჯახები, რომელნიც ხელოსანთა უფლებით არიან ქალაქში ჩაწერილი. ნამდვილათ კი ვაჭრობას მისდევენ.

**ს. დ. ფრაქციის უარი.** საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატების პატივსაცემლათ პეტერბურგში გამართულ ბანკეტზე მიიწვიეს აგრეთვე ს. დ. ფრაქციის წარმომადგენელნიც. ს. დ. ფრაქციამ უარი განაცხადა ბანკეტზე მონაწილეობის მიღებაზე და ამის შესახებ დასაბუთებული განმარტებაც წარუდგინა სათანადო კომისიას.

## წერილები ლონდონიდან

(საკუთარი კორესპ[illegible]

არჩევნები კაი ხანია [illegible] ვეური მინისტრები გაემგ[illegible] საფრანგეთში დასასვენებლათ და კიდევაც ჩამობრუნდენ უკან. მათი მოღვაწეობა არჩევნების ჟამს დიახაც არ წააგავს ჩვენი მაღალი ბიუროკრატიული-კამარილისტების ოფლში წურვას დეპარტამენტში და კანცელარიებში. აქაური მინისტრი ყველაზე წინ ხალხის მსახურია, თეორიულათ მაინც. ის მოვალეა არჩევნების ჟამს ხალხს წარუდგეს თავისი პლატფორმით და „ნდობა“ თხოვოს მას. იგი უნდა იქცეს მხტუნავ ქურციკად და იქიანოს სიგრძე-სიგანით ერთი საარჩევნო ოლქიდან მეორეში, და გამოვიდეს ხალხურ მიტინგებზე გრძელი და დასაბუთებული სიტყვებით. ეს ხელობა არც ისე ადვილია და ძალზე დამღლელიცაა, რასაკვირველია. მაგრამ სწორეთ ამ ხელობაში სუფევს დიდი ბრიტანიის ერთ-ერთი დემოკრატიული დედა-ძარღვი. საკმაოა ხალხი გაცნობიერდეს და გაიღვენთოს პოლიტიკურათ, რომ მან მინისტრები

აგრეთვე ფაქტიურადაც გაიხადოს თავის მოსამსახურებად.

15 თვეს გაიხსნება ახალი პარლამენტი და 21-ს ედუარდი წაიკითხავს თავის სეფე-სიტყვას. ახლოვდება საბედისწერო წამი და აქედან პარტიები და მინისტრები დიდ ფაცი-ფუცში არიან. ხალხი კი მიეცა ჩვეულებრივი წვრილსაქმიანობას. მას არავინ ეკითხება ახლა, მან მოისტუმრა თავის საქმე და სცენიდან ჩამოვიდა. სამაგიეროთ, მით უფრო „ვაჟნათ“ ფახი-ფუხობენ პროფესიონალური პოლიტიკოსები. მინისტრები ყოველ დღე მართვენ თათბირს და ქუჩის მტკეპნელნი ამაოთ ცდილობენ ამოიკითხონ მათ დანაოჭებულ შუბლზე—როცა ისინი ჩამოიქროლებენ ავტომობილებში—მათი გადაწყვეტილება და სამოქმედო პროგრამა.

ამ წერილის მისვლამდე მკითხველს უკვე ეცოდინება ცოტათ თუ ბევრათ ყველა ეს, მე კი არ ვიცი, უნდა გამოვტყდე. და ეს იმიტომ, რომ სამინისტრო ნამდვილ „პროკურორის მდგომარეობაშია“! მას არა ჰყავს საკუთარი უმრავლესობა სათემო პალატაში: ლიბერალნი ორიოდე ხმით სჯობნიან კონსერვატორებს. საქმე მიმდგარია 40 ლაბურისტზე. და 82 ნაციონალისტზე. თუ ამათ არ მოიღეს თვისი წყალობა, სამინისტრო უნდა დაეცეს, თავის თავათ ცხადია. აქედან საჭიროა მათი გულის მოგება. რა უნდათ მათ, რა პირობით ეკედლებიან ისინი სამინისტროს? ისინი მტკიცეთ მოითხოვენ უკანასკნელისაგან ლორდთა პალატის ამლაგმველ ბილის წარმოდგენას. ნაციონალისტები მხოლოდ ლორდთა ვეტოს შეზღუდვისაგან მოელიან ჰომ-რულის განხორციელებას; ლაბურისტები კი უფრო შორსაც მიდიან და მოითხოვენ ლორდთა პალატის სრულიად გაუქმებას, რადგან ის, მათის აზრით ყოველ, სოციალურ კანონმდებლობის მუხრუჭია მეტი არაფერი.

მაგრამ სწორეთ ამ კითხვაზე კონსერვატორ—იმპერიალისტები სულ სხვა აზრის არიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ვეტოს შემზღუდველი მანდატი ხალხს სულაც არ მიუციაო მთავრობისათვის და საჭიროა ზომიერი სიმინისტრო თუ გინდ როზბერის მეთაურობით, რომელიც გაიყვეს ლორთა პალატის ზომიერ რეფორმას და ბიუჯეტსაც ჩამოაცლის „სოციალისტურ“ სამკაულებსო. მემარჯვენე ლიბერალნიც თანაუგრძნობენ გულის სიღრმეში ამ ალია-ბალიას და ზოგჯერ გაზეთშიც კი ამჟღავნებენ თავიანთ ახლო ნათესაობას ლორდებთან. მასთან, ბიუჯეტი ჯერეც დაუმტკიცებელია და ისე კი მართვა-გამგეობა კონსტიტუციას არ ეგუება. აქ კი უგუნებოთ არიან ნაციონალისტები, რადგან ირლანდიის „ვისკის“ და სხვა სასმელებს ძალზე ბაჟავს ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტი, რაისათვის ისინი ერთხელ წინაალუდგენ მას და მეორეჯერ თავი შეიკავეს ძველ სათემო პალატაში მის შესახებ. რასკოლიც კი მოხდა ამ საგანზე ნაციონალისტთა ფრაქციაში, 10—11 წევრი უკვე გამოეყო მას ობრიანის მეთაურობით და გადაჭრით ებრძვის ბიუჯეტს...

მემარცხენე ლიბერალები კი თხოულობენ, რომ მთავრობა თავის მახლობელ გეგმაში „ვეტოს შემუსვრა“ შეიტანოს. მაგრამ ესეც მეორე უფრო დიდ შედეგს იწვევს. ლორდთა პალატა არ შეიწყნარებს უეჭველათ თავისავე ვეტოს შეზღუდვას და მაშინ რჩება ერთათ-ერთი კონსტიტუციონური გზა: მეფემ უნდა დანიშნოს 400—500 ახალი ლორდ-პერი და მით სძლიოს ლორდთა პალატას ჯიუტობას. ეს კი ადვილი არაა მეფისათვის, და არც მთავრობისათვის. ამიტომ ამბობენ ხოლმე, რომ ახალი პალატა ხანგრძლივი არ იქნებაო... ისევ ხალხს უნდა მიმართონ! დავიცადოთ და ვუყუროთ სეირს... კრიზისი ვერ გადაჭრა პირველმა კენჭობამ, ესაა თავი და თავი. **ა. ჩ.**

## პოლიტიკური მდგომარეობა ფინლიანდიაში

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ფინლიანდია რუსეთის იმპერიის ერთი პატარა ნაწილია, მაგრამ უფლებრივი მდგომარეობა რუსეთის მოქალაქისა შესამჩნევათ განირჩევა ფინელ მოქალაქის უფლებრივ მდგომარეობისაგან. ეს თითქოს ორი სრულიად სხვადასხვა ქვეყნები იყოს ერთში ე. ი. რუსეთში გამეფებულია სრული უუფლებობა, ხოლო მეორეს, ამ მხრივ, შეუძლია მისაბაძ მაგალითად გაუხდეს მთელი ევროპის დემოკრატიას.

ამ განსხვავების წარმომშობი მიზეზი ის არის, რომ ფინლიანდიის ცხოვრებას საფუძვლათ ,,გაბათილებული დოკუმენტი'' 17 ოქტომბრისა კი არ უძევს, არამედ ჭეშმარიტი კონსტიტუცია, რომელიც ნაანდერძევია შვედთა მფლობელობის ეპოქიდან. მოკლეთ შინაარსი ამ კონსტიტუციისა ასეთი იყო: ქვეყანას განაგებს მეფე, რომელიც თავის მხრივ ემორჩილება კანონს, მოქალაქეთ მინიჭებული აქვთ პიროვნების და ქონების ხელშეუხებლობა, კანონების გამოცემის და კონსტიტუციის შეცვლის უფლება და სხვ.

ფინლიანდიის რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს კონსტიტუცია საგრძნობლათ შეიცვალა. ახალი მმართველობა ფინლიანდიისათვის უცხო რამ იყო და მალე თავისი დაღიც დააჩნია. მიუხედავათ იმისა, რომ ფინლიანდიის „ძირითადი კანონები“ არ უარუყვიათ, მაინც ნახევარ საუკუნის განმავლობაში რუსეთთან შეერთების შემდეგ, მათი ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი დარჩა, შემდეგ კი ეს ძირითადი კანონები უძლურნი შეიქნენ და რუსეთის რეაქციონურ გალაშქრებას, ფინლიანდიის ავტონომიის შესამუსრავათ, ჯეროვინი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

ახლაც, მიუხედავათ იმისა, რომ მრავალი რეფორმები შემოღებულ იქნენ ფინლიანდიის კონსტიტუციის დემოკრატიზაციისათვის, დამოკიდებულება რუსეთსა და ფინლიანდიას შორის რაღაც უცნაური და მოუწესრიგებელია. რუსეთის პოლიტიკა ფინლიანდიაში არავითარ ყურადღებას არ აქცევს ფინლიანდიის კონსტიტუციას და მხოლოდ რუსეთის ბიუროკრატიის სურვილების განხორციელებას ცდილობს.

სამაგიეროთ, შინაური ცხოვრება ფინლიანდიისა, საზოგადოებრივ კლასების ურთიერთ შორის განწყობილება, უკანასკნელ რეფორმების წყალობით, მეტათ კარგათაა მოწყობილი.

მრეწველობის განვითარება, სოფლის მცხოვრებთა პროლეტარიზაცია და ფინური ქალის გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე, აი ის მოვლენები, რომლებიც ახასიათებენ ფინლიანდიის საზოგადოებრივ ზრდას უკანასკნელ ათი წლ. განმავლობაში.

სამრეწველო პროლეტარიატმა, რომელიც ფინლიანდიაში მე-60 წლებში ჩაისახა, მე-80 წლებში უკვე გამოიჩინა ენერგიული თვითმოქმედება და რამდენათაც ცდილობდა თავის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას იმდენათ ღრმათ იფლობოდა პოლიტიკურ ბრძოლაში—პოლიტიკურ უფლებათა მოსაპოებლათ. ის მუდამ ცდილობდა ამ ბრძოლაში ჩაეთრია სოფლის ბოგანო მცხოვრები, რომელიც, მართალია, აქტიურ თვითმოქმედებას მოკლებული იყო, სამაგიეროთ რაოდენობით საგრძნობელ ძალას წარმოადგენდა.

მუშათა კლასის გამოღვიძებასთან თითქმის ერთად, თავის უუფლებობაზე ალაპარაკდა ფინელი ქალიც.

ფინელ ქალს ბრძოლა უფლებების მოსაპოვებლათ იმდენათ დემონსტრაციებით არ დაუწყია, რამდენათაც აქტიური მონაწილეობით საზოგადო საქმეში. კულტურულ მუშაობის სხვადასხვა დარგებში, საზოგადოებებში, კავშირებში, პარტიებში, ყველგან შეხვდებოდით ფინელ ქალს, რომელიც პასიურ როლს ვერ ურიგდებოდა და მუდამ პასუხსაგებ სამუშაოს იღებდა. განსაკუთრებით დიდი საქმე გააკეთეს ქალებმა ლოთობასთან ბრძოლაში და ხალხის განათლებაში. იგინი ცდილობდენ განსაკუთრებით ქალების განათლების საქმის გონივრულათ დაყენებისათვის, შექმნეს საერთო შკოლა, რომელმაც შემდეგ დიდი ღვაწლი დასდო ქალების მიერ პოლიტიკურ უფლებების მოპოვებას ფინლიანდიაში.

საერთო გამოღვიძების ხანაში მეტათ ნათლათ გამოჩნდა მუშების და ქალების მძლავრი გავლენა საქმეთა მიმდინარეობაზე.

ძველი, საშუალო საუკუნოების მიერ ნაანდერძევი სეიმი, რომელსაც აღარ შეეძლო კლასთა ურთიერთობის გამოხატვა და ფინლიანდიის სოციალურ საჭიროებათა აღნუსხვა, იძულებული იყო დაეთმო ახალი წესწყობილებისათვის და ფართეთ გაეღო კარები დემოკრატიისათვის.

ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც ფინლიანდიამ მოიპოვა 1904—1906 წ.წ. ბრძოლით, ყოველივე მოლოდინს აღემატებოდა, თუმცა მან მხოლოდ დააკანონა ის გავლენა მუშის და ქალის ფინლიანდიის საზოგადო ცხოვრებაში, რომელიც ამ კანონამდეც არსებობდა.

ახალმა საარჩევნო კანონმა აღიარა საყოველთაო საარჩევნო უფლება ფინლიანდიაში და მით ფინლიანდია გახდა სამაგალითოდ მთელი ქვეყნიერობისათვის, რადგანაც უფლება მისცა ქალს არა მარტო არჩევნებში მონაწილეობისა, არამედ ისიც, რომ ის თვითონაც იყოს ამორჩეული.

ამ კანონით არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველამ, ვინც 24 წლისაა. აქედან გამორიცხულნი არიან: გიჟები, უფლება შეზღუდულნი და ვისაც საზოგადოებრივი ბეგარა არ მოუხდია. ეს უკანასკნელი გარემოება და დიდი წლოვანება ხელს უშლიდა მუშათა ფართო გამოსვლას საარჩევნო—ბრძოლაში, მაგრამ ამათ მაინც ხელი ვერ შეუშალეს მუშათა პარტიას და სეიმში ორი მეხუთედი ადგილებისა (83 ადგილი, 200 ადგილში) მუშათა კლასის წარმომადგენლებს ჩაუგდეს ხელში.

ფინლიანდიაში არსებული პროპორციონალური სისტემა წარმომადგენლობისა საშუალებას აძლევს მებრძოლ პარტიებს საკუთარის და მოწინააღმდეგის ძალების გაზომვისას, ხოლო კერძო ასარჩევ პირთა სიების გამოაშკარავება შესაძლებელ ყოფს არჩეულ იქნენ სასურველი პირები.

პირველათ ფინლიანდიის წარმომადგენლობითი დაწესებულებაში გამოვიდა ქალი-დეპუტატი, რომლის გამოსვლამ სეიმში ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ქალი პარლამენტში ისე დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე, როგორც საზოგადო მოღვაწეობის სხვა დარგებშიაც.

ახალმა სეიმმა თავის მუშაობის პროგრამაში მორიგ საკითხებათ წამოაყენა ბევრი ისეთი სოციალური რეფორმები, რომლის განხორციელება დიდი ხანია აუცილებელ საჭიროებათ იყო ცნობილი. ამ რეფორმების ერთი ნაწილის განხორციელება სეიმმა უკვე მოასწრო, ხოლო მეორე ნაწილი დასამტკიცებლათ წარდგენილ იქნა პეტერბურგში. ესენი არიან: საიჯარო კანონი, მათრობელა სასმელების განდევნა ხმარებიდან ოჯახებშიც-კი, სამუშაო დროის მოწესრიგება და ღამით მუშაობის აკრძალვა ფურნეებში და საარჩევნო უფლების გაფართოვება ადგილობრივ თვითმართველობაში (ქალაქის და სოფლის კომუნებში) არჩევნებისათვის.

აქამდის, იმის წყალობით, რომ მეტათ დიდი ქონებრივი ცენზი იყო დაწესებული არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ, ადგილობრივი მთელი მეურნეობა ქალაქისა და სოფლის პლუტოკრატიას ქონდა ხელში ჩაგდებული.

მცხოვრებთა საშუალო წრეებიც კი, რომელთაც ერთი ან ორი ხმა ქონდათ არჩევნებში, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდენ არჩევნების მიმართულებაში და მსხვილ მესაკუთრეთა არჩევნებს ვერაფრით ხელს ვერ უშლიდენ. მუშათა კლასის გავლენაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. თუ სადმე მუშები მოახერხებდენ

## სიმღერა

არა, არ ვტირი, ცხარე ცრემლებათ
სრულიადაც არ დავიწურები,
თუმცა შავ-ბედის წინააღმდეგა
ბარემ ბევრი მაქვს საყვედურები.
არ ვტირი, თუმცა ტიალმა ბედმა
ბევრჯელ გამომდო საფრთხის ქამანდი,
ბევრჯელ საზარ მტერს გამარჯვებულსა
ჩემზე უცდია სრბოლა-ნავარდი.
არ ვტირი, თუმცა ჩემი ცხოვრების
ტატნობსა ჰფარვენ შავი ღრუბლები
და შხამ-ბალღამსა პირით არწყევენ
ჯოჯოხეთური ბნელი ძალები.

* * *

ტირილი, ურვა,
ცრემლთა ფრქვევანი,
ბედისა, მდურვა,
ვიში გლოვანი
წესია მხოლოდ
სულით მდაბალთა,
უგზო-უკვლოთ
მიწებრ მავალთა.

* * *

მე კი ღამისა საზარ წყვდიადშიც
გული მელგზნება, მიხალისდება
და იმედების გრძნეული ძალა
მარად ამ სიტყვებს მეჩურჩულება:
„ცხოვრების ჩარხის უკუღმა ტრიალს
„არ დამორჩილდე, ყრმაო, სხვასავით
„მის აგორებულ, მშფოთარ ტალღებზე
„მედგრათ გასწიე წინ შენი ნავით.
„იცოდე, რომა შუქურ ცისკრისგან
„მალე იძლევა გროვა ღრუბლების
„და ამაყათ მსვლელს გადმოგეფრქვევა
„სხივი დიდი თავისუფლების“.

* * *

ვისმენ რა ამას,
უფრო ვმხნევდები,
მოსეულ ვარამს
ფოლადებრ ვხვდები.
სულ წინ მივილტვი
იმედიანი
გზა უკან მრჩება
ნარ-ეკლიანი.

**დ. თურდოსპირელი.**

## სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან.

(გაგრძელება)

იქნებოდა შვიდი საათი, როდესაც ყველა მებრძოლმა ერთათ მოიყარა თავი. მთელი მოედანი სავსე იყო ხალხით და ჟრიამულით გარს ევლებოდენ გურჯებს. მებრძოლნი ერთმანეთს იკრავდენ გულში, ჰკოცნიდენ და გამარჯვებას ულოცავდენ, მაგრამ... ერიდებიან პირდაპირ თვალებში შეხედონ ერთმანეთს, ერიდებიან იმისათვის, რომ არავის წამოსცდეს ესა და ეს ამხანაგი მოჰკლესო. ამის შემდეგ სიხარულის ცრემლებით სავსე თვალებით მხიარულათ შემოსძახეს მარსელიოზა.

ხალხი რიცხვით ერთი ათათ იზრდება, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა გარს ევლებოდა მათ, ყველა სალამს აძლევდა და „იაშასუნ გურჯის“ ძახილით ხელ-ფეხს უკოცნიდა (ამგვარი კოცნა ჩვეულებრივია სპარსეთში). ღამის 12 საათზე დაღალულ-დაქანცული გურჯები სახლში გაეშურენ დასასვენებლათ. ქალაქს მკვიდრ მცხოვრებთ აბარებდა. დახოცილ ამხანაგების და სარბაზების სიახლოვით ცეცხლი ანთია და დარაჯათ თავრიზელები დარჩენ. „გაუმარჯოს გურჯებს გაუმარჯოს, მაშრუტას“ ისმის გათენებამდე ხმა...

რეშტის აღების დროს რევოლიუციონერებს მოუკლეს 2, დაუჭრეს რვა. ჯარს: მოკლული იყო 56 ყაზახ-სარბაზი, 100-დე დაჭრილი, 150 სარბაზი ცოცხლათ შეიპყრეს, მოკლეს გუბერნატორი და ორი სხვა დიდი მოხელე. დანარჩენმა რეაქციონერებმა რუსეთის საელჩოში მოასწრეს თავის შეფარება. 27 იანვარს რევოლიუციონერები მოედვენ ქალაქს და დაიწყეს რეაქციონერების ჭერა და ჩხრეკა. გურჯებმა ქალაქის დარაჯობაზე, სახლების ჩხრეკაზე და ამგვარ სხვა საქმეებზე უარი განაცხადეს იმ მოსაზრებით, რომ ხალხს ცუდი თვალით არ დაეწყო ყურება როგორც უცხო ხალხისათვის. დილიდანვე მთელი რეშტი თავს იყრის სასახლის წინ და ორატორს თხოულობს, რომელსაც შეეძლოს ახსნა, თუ რას მოასწავებს აჯანყება და რა არის რაღაც კონსტიტუცია; მაგრამ ერთათ-ერთი ორატორის ქესმაის ავათმყოფობის გამო მიტინგი არ შესდგა. ამავე დღეს მოვიდა სეპეხდარისაგან გამოგზავნილი კაცი, რომელიც თხოულობდა ნება მიეცათ ქალაქში შესვლისა. თუმცა სეპეხდარს ყველა ერიდებოდა, მაგრამ დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ მაინც ნება დართეს შესულიყო რეშტში. როდესაც სეპეხდარის შესვლა ხალხმა გაიგო, უნდობლობის თვალით დაუწყო ყურება ბელადებს. რევოლიუციონერთა რაზმი ორ-ორათ ჩამწკრივებული გაუძღვა წინ სეპეხდარის რაზმს (150 კაცი იყო) და მუსიკით შუა ქალაქში „საბზი-მოედანამდე“ მიაცილა. შემდეგ ჩუმათ გარს შემოერტყენ რევოლიუციონერები და მიტინგი გაიმართა.

პირველათ, იქვე სასახლეში ქართველების სახელით სიტყვა წარმოსთქვა სპარსეთში ცნობილმა ორატორმა ქესმაიმ. სხვათა შორის მან ასეთი სიტყვებით მიმართა სეპეხდარის წარმომადგენელს: „თუ სეპეხდარი შემოვუშვით ქალაქში, ეს იმისათვის, რომ ის საჭიროა ჩვენთვის და მთელი სპარსეთისათვის. თუ გაგვიწევს მეგობრობას ხომ მზათა ვართ პატივი ვსცეთ და თუ ვინმემ გაბედა რამე ხალხის წინააღმდეგ, მაშინ აქ არიან გურჯები, რომლებიც ყველას სამაგიეროს გადაუხდიან. გადაეცით ბატონ სეპეხდარს, რომ ყველა გურჯები და ჩვენ ვუძღვნით მეგობრულ სალამს...

ქესმაის გასცა პასუხი სეპეხდარის რწმუნებულმა მურთაზირ-ღულემ: „...ჩვენი დიდი ბატონი სეპეხდარი დიდი ხანია ხალხის მეგობარია და ხალხს შესწირავს თავს. სალამი და გამარჯვება გურჯებს, „იაშასუნ გურჯი, იაშასუნ კავკაზ, იაშასუნ მაშრუტა, იაშასუნ სათარ-ხან... ხინდაბაა ალა საფადარ აზამ (იდღეგრძელოს ბ. სეპეხდარ-აზამმა) და გარეთ მდგომმა 10,000 კაცმა ზემოხსენებული სიტყვები ტაშის კვრით გაიმეორა...

ორი კარგად შეიარაღებული და გამოწყობილი ქართველი წარუდგინეს სეპეხდარს...

შემდეგ მე და კიდევ ერთი ქართველი მიგვიწვიეს მდიდრულათ მორთულ სასახლეში, ერთი კუთხე ოთახისა ძალიან იყო მორთული და ძირს იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე ელაგა ვაზიებით ათასნაირი ტკბილეულობა და შარბათი სეპეხდარისთვის მომზადებული. ხუთი ექვსი მოლაც სეპეხდარს ელოდებოდენ და როდესაც მათ ჩვენი თავისუფალი ქცევა დაინახეს, მეტადრე მაშინ, როდესაც ჩვენ ორივენი ნება-დაურთველათ მოვიკალათეთ ძვირფას სანდლებზე, მათ სიცილი აუტყდათ და გაკვირვებით დაგვიწყეს ცქერა.

არ გასულა სულ ათი წუთი, რომ გაიღო დარბაზის კარები და ჩვენსკენ ნელი ნაბიჯით გამოსწია ვიღაც 60—65 წლის მოხუცმა. უბრალო, იაფ-ფასიანი მუნდირი, ცალი პირი ყვითელი ღილებით წინ ჩავლილი, თითქმის გახეხილი შარვალი, გაუწმენდავი ფეხსაცმელები და იაფ-ფასიანი ქუდი, აი, სულ ეს იყო მოხუცის ჩაცმა-დახურვა, მის გამოსვლაზე ყველა ზეზე წამოხტა და ჩვენც ესევე მოვიქეცით. მოლებმა გულ-ხელი დაიკრიფეს და თავები დახარეს. მოლებს მიჰბაძეს სეპეხდარის იქვე მდგომმა შეიარაღებულმა მცველებმა და რაღაცა წაიბუტბუტეს. ეს მოხუცი იყო სეპეხდარი. სეპეხდარი მოგვიახლოვდა და თავჩაკიდული, თითქოს გამწყრალიაო, სალამი მოგვცა. მისალმების შემდეგ შეგვეკითხა თათრული ან ფარსული ხომ არ იცითო და როდესაც გაიგო, რომ ჩვენ ქართულის და რუსულის ენების მეტი არ ვიცოდით, თავი გადააქნია და გვერდ შექცეულმა გვითხრა: „ხუბნისტ“ (კარგი არ არისო). ჩვენ მალე დავბრუნდით.

სეპეხდარის შეხედულება არც ერთს არ მოგვეწონა. შუა ტანისა, ცოტა წელში მოხრილი, მოთეთრო თვალები, ხანური მედიდური მიხვრა-მოხვრა რაღაც სიძულვილს იწვევდა ჩვენში და როდესაც კარში გამოვედით, ჩემმა ამხანაგმა გულ-ნატკენი ხმით მითხრა: „არა ძმაო! ეგ კაი კაცი არ უნდა იყოს, მაგის შეხედულება იოანე მრისხანეს მაგონებსო..

28 იანვარს ასაფლავებენ თავისუფლების მსხვერპლს. ასაფლავებენ ფაშახანს. ორ-პირათ ჩამწკრივებული რევოლიუციონერები მიუძღვიან „საკაცეს“ წინ და გვერდით მარსელიოზას სიმღერით და მუსიკის კვრით. ხალხის ტევა აღარ იყო.

საღამოს სამ საათზედ ის მიაბარეს მიწას და უკან დაბრუნდენ.

29 იანვარს ასაფლავებენ შალვა დოლიძეს. რაც რეშტში ევროპელები კი მოიპოვებოდა, ყველას თავი მოეყარა იმ ქუჩებში, საითაც ცხედარი უნდა გაეტარებინათ, სპარსელები დიდათ იყვენ დაინტერესებული, რომ მოკლული ქართველი იყო და ყველამ მოყარა თავი სომხების ეკლესიის სიახლოვით. ორი—სამი ვერსის სივრცეზე ყველა მთავარ ქუჩებში ხალხი იდგა.

თორმეტ საათზე ცხედარი გამოასვენეს ამხანაგებმა და ზარბაზნის ლაფეტაზედ დაასვენეს, რომელსაც გარშემო შემოუწკრივდენ. ტრიბუნაზე ავიდა ცნობილი ორატორი ქესმაი,—რომელმაც გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა:

„...ირანელებო! ირანის თავისუფლებას თავი შესწირა იმ ერის შვილებმა, რომელ ერსაც ჩვენ ძალიან ნაკლებათ ვიცნობთ და ცოტა გაგვიგონია ამ ერზედ; გურჯები ყველას ჩვენი მტერი გვეგონა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმე თავის კანდიდატს გაყვანს, აც რაოდენობით. ისე ცოტანი იყ- ნ ხოლმე, რომ მათ არ შეეძლოთ ნოდათ რაიმე გავლენა კომუნალურ ურნეობის ხასიათზე. ერთად ერთს ლაქს კოტკაში (ორელში) მუშებმა ძლეს შემთხვევით ქალაქის თვითმარ- ველობის ხელში ჩაგდება და მიუხედა- თ მრავალი დაბრკოლებისა და გამო- ცდელობისა, მათ სოციალურ პოლი- ას მაინც საკმაო ადგილი და გულის რი დაუთმეს. სხვა ადგილებში კი მიუ- ავათ იმისა, რომ რიცხვით ისინი მუ- მ სჭარბობდენ სხვა ამომრჩევლებს, ნც არ შეეძლოთ ბრძოლა მსხვილ აკუთრეებთან, რადგანაც თვითეულს უკანასკნელთაგანს ათი და ასი ხმა ნდა მიცემული.

ახალ სეიმის მიერ მიღებული ახალი არჩევნო კანონი (მართალია, ვერ არ ის დაკანონებული) ძირიან-ფესვიანად ავრის ამ ბოროტებას. ის უარყოფს ენზს და ხმების სიმრავლეს ერთის პი- ისთვის (ვოტუმებს) და ამ გვარად ად- ილობრივ თვითმართველობაში ფართეთ ღებს კარს დემოკრატიას—ამ პროექ- ით უნდა დაკანონდეს საყოველთაო და ანასწორი საარჩევნო უფლება, ფინლი- დიის ყველა მცხოვრებისათვის განურ- ევლად სქესისა, ამასთანავე წლოვანება რჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ აჯირო პროექტით შემცირებულია 21 ამდის და არჩევნებში მონაწილეობის ება იმაზედ არ არის დამოკიდებული ის თუ არა ესა თუ ის პირი კომუ- ურ გადასახადს.

ამ რეფორმის დიდი მნიშვნელობა უფ- ო თვალსაჩინო იქნება თუ მოვიგო- ებთ, რომ ფინლიანდიაში ერთათ ერთი დგილობრივი თვითმართველობის ორ- განოები არიან სოფლისა და ქალაქის ომუნები. ის გარემოება, რომ მათზედ უფრო მსხვილი ერთეული ადგილობრივის ვითმართველობისა ფინლიანდიაში არ არ- ებობს, ფართე სამოქმედო ასპარეზს უხს- ის კომუნალურს თვითმართველობას და ამასადამე, მათი ე. ი. ქალაქის და სოფ- ის კომუნების დემოკრატიის მიერ ხელ- ში ჩაგდება, ხოლო ეს კი უსათუოდ ოხდება თუ ზემოდ მოყვანილი კანონ- როექტი დაკანონებულ იქნა, —დემოკრატიის დიდს გამარჯვებას ნიშნავს.

საერთო აღფრთოვანების ხანაში, 1904—1906 წლებში, საგანგებოთ მოწვეულს სეიმს ფინლიანდიის დემოკრატიამ ბევრი საჭირბოროტო საკითხი წაუყენა, რომელთა გადაწყვეტას ფინლიანდია ახლო მომავალში უნდა ელოდეს.

ამ საკითხთა შორის პირველი ადგილი უჭირავთ: ძირითად კანონების შეცვლას და საარჩევნო უფლების გაფართოვებს, კავშირების და კრებების თავისუფლებას და მთავრობის დაწესებულებაია პასუხის მგებლობას ხალხის წარმომადგენელთა წინაშე. რამდენიმე ამ საკითხთაგანი სეიმმა უკვე განიხილა და მთავრობამ დააკანონა. ეს არის: კრების, კავშირების, ბეჭდვითი სიტყვის და სინიდისის თავისუფლებანი, საარჩევნო უფლების გაფართოვება და სხვა წვრილმანები, ხოლო მთავრობის დაწესებულებათა პასუხის მგებლობის შემოღება ჯერ-ჯერობით გვიანდება, თუმცა ამ უკანასკნელ გარემოებასაც ფინლიანდელი მოქალაქე დიდს ყურადღებას არ აქცევს, რადგანაც ეს პასუხის მგებლობა ცხოვრებაში უკვე არსებობს და ის სტატს-სეკრეტარი, რომელსაც ხალხი და სეიმი უნდობლობას უცხადებენ, დაუყოვნებლივ გადის სამსახურიდან.

კრებების თავისუფლება შეზღუდულია მხოლოდ ერთის პირობით: კრებაზედ არ შეუძლიათ დაესწრონ შეიარაღებულთ და თუ კრება ან ქუჩაში, ან მოედანზეა სადმე, ინიციატორი მოვალეა 6 საათის წინათ, კრების გახსნამდე, შეატყობინოს პოლიციას.

კავშირების კანონიერებისათვის საჭიროა მხოლოდ გამოცხადება, რაიც რეგისტრაციისათვის არის საჭირო.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება დამყარებულია 1906 წლის 20 აგვისტოს კანონზედ, რომლითაც მოსპობილია წინასწარი ცენზურა, მაგრამ რადგანაც ამაზედ უფრო მეტათ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების განმამტკიცებელი და სეიმის მიერ მიღებული კანონ-პროექტი ჯერაც დაუკანონებელია, ამიტომ ისევ ძალაში რჩება 1867 და 1891 წლების კანონები.

ამ თავისუფლებაზედ ბევრად ადრე, ე. ი. 1889 წლიდამ, ფილანდიაში დაკანონებულია სინიდისის თავისუფლება.

მიიღო თუ არა ფილიანდიამ ახალი საარჩევნო [illegible] როდ იქნა აღიარებული სეიმის, ხალხის წარმომადგენელთა სამეურნეო ადმინისტრატიულ უფლებათა გაფართოვება.

აი ეს უკანასკნელი გარემოება გახდა ფინლიანდიასა და რუსეთს შორის უთანხმოების ქვაკუთხედათ, რომელსაც დღემდე ვერ მოეღებია ბოლო.

განმე

# ახალი ამბები

**† კირილე გაბ. ლომაძე.** 8 თებერვალს ს. ჩიბათში ფილტვების ანთებით, გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კირილე გაბრიელის ძე ლომაძე. 1906 წ. განსვენებული გურიაში დააპატიმრეს. მისი საქმე მოყვა გურიის რესპუბლიკის საქმეში, რომელიც ქ. ოდესის სამოსამართლო პალატაში გაირჩა პალატამ ის გაამართლა. გურიაში ის ხელმეორეთ დააპატიმრეს და ადმინისტრატიული წესით ვიატკის გუბერნიაში გაგზავნეს. განთავისუფლება ეღირსა მაშინ, როცა მას მხოლოდ სამიოდე კვირის სიცოცხლე დარჩენოდა. განსვენებულს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი.

◆ **გადაბრუნებულ ვაგონის** შესახებ შემდეგ დამატებითი ცნობებს ვტყობილობთ: სამშაბათს, 9 თებერვალს, დღით 4 საათზე, ვაგონი № 3, რომელიც ვატხიდაროვს მიყავდა, ორთაჭალის ლიანდაგზე, „ტაიროვისა, ტოლესა და კამპ». ქარხნის მახლობლათ ლიანდაგს გადასცდა და გადაბრუნდა. მიზეზი ის იყო, რომ ვაგონს ბორბალ ქვეშ რკინის „ბოლტი“ მოჰყვა. მგზავრებთაგან მარჯვენა გვერდში დაშავდა ქალაქ შუშის მცხოვრები დ. ა. მელიქ-შახნაზაროვი.

◆ **გადასაჯდომი ბილეთები.** ქალაქისა და ტრამვაის იურისკონსულტებმა თათბირი იქონიეს ტრამვაის გადასაჯდომ ბილეთების შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ რადგან ხელშეკრულობაში არაფერი ნათქვამი არაა გადასაჯდომ ბილეთებით სარგებლობის ვადის შესახებ, ამიტომ ამ გვარი ბილეთებით სარგებლობა შეიძლება არა მარტო სამი საათის განმავლობაში, არამედ მთელი დღისა და მეორე მესამე დღემდისაც, თუ კი ბილეთების ნომრები მთელი იქნებაო.

◆ **ჟურნალისტთა საზ.** წევრთა კრება დანიშნულია კვირას, 14 თებერვალს. კრება განიხილავს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს; მოხდება არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიისა.

◆ **თფილისის გუბერნატორმა** წინადადებით მიმართა ქალაქის თავის მოადგილეს დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას ქალაქისა და საზ. ფუნიკულერის შორის დადებული დამატებითი ხელშეკრულობის პირი.

◆ **ტუბერკ. მებრძოლ საზოგადოებამ** თხოვნით მიმართა კავკასიის ნამესტნიკს, რათა ხსენებულ საზ-ს უფასოთ დაეთმოს აბასთუმნის ტყიდან მასალა აბასთუმნის სანატორიის შენობის ასაგებათ.

◆ **ქალაქის გამგეობა საყურადღებოთ.** მოვაგონებთ ქალაქის მამებს, რომ საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ავლაბრის რაიონის წყლისსაყვან მილის უსუფთაობას. დღე ისე არ გავა, რომ წყალში არ შენიშნოთ ტალახი და სხვა.

◆ **სახადი ბათუმის ციხეში.** ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ იქ, ციხეში, სახადი მძვინვარებს.

◆ **სილ. ივანიაძის საქმე,** რომელიც გუშინ უნდა გარჩეულიყო ბათუმში, სამხედრო სასამართლოში, 24 თებ. გადასდვეს.

◆ **შუამდგომლობა.** მიდამო „ვაკეს“ მცხოვრებლებმა კოლექტიური თხოვნით მიმართეს თფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს, განკარგულება მოახდინოს „ვაკეში“ ერთი საფოსტო უჯრის გამოსაკიდებლათ.

◆ **ქალაქის თვითმართველობაში** ხვალ, 13 თებერვალს, დანიშნულია სხდომა საგანგებო კომისიისა, რომელიც მოახდენს ქალაქის უძრავ ქონებათა ხელახალ შეფასებას.

◆ **ხიდის დათვალიერება.** ხვალ, 13 თებერვალს ქალაქის გამგეობა დაათვალიერებს მუხრანის ხიდს, რომლის აგება ჯერ არ დაუმთავრებიათ.

◆ **რედაქციამ მიიღო** შემდეგი წერილი: დიდათ დაგვალონა ძვირფას მეგობრის ალ. ნ. ბახტაძის უდროოთ დაკარგვამ. მიხ. ჰანტურიშვილი, გ. გზირიშვილი, დ. გოგიტიშვილი, ლ. დოლიძე, გ. ელენტი.

— ა. ბახტაძის (ალი-ადეკის) უდროოთ გარდაცვალებამ დიდათ დამალონა; ვსტირი უდროოთ დაკარგულს, ძვირფას მეგობარ-ნათესავ ალის. ლ. კიკალიშვილი.

◆ **თფ. პოლიცმეისტერი** წინადადებას აძლევს პოლიციელთ თვალ-ყური ადევნონ მეყასბეებს, რათა ისინი გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ ნიხრზე ზედმეტ ფასს არ ღებულობდენ საქონლის ხორცში. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სამართალში იქნებიან მიცემულნი.

◆ **სალდათის შეპყრობა.** 10 თებ. პოლიციამ შეიპყრო თფ. მოქალაქე მ. კ. ბალდასაროვი, რომელიც სალდათობას ემალებოდა. შეპყრობილს პასუხის გებაში აძლევენ.

— ამავე დღეს, ჩხრეკის დროს, სხვა და სხვა საპოლიციო უბნებში პოლიციამ შეიპყრო 40 უპასპორტო.

## † გიგო ურუშაძე

5 თებ. ქ. ფოთში მიწას მივაბარეთ თუმცა-ღა მოხუცი, მაგრამ გონება ფხიზელი და მომავალის იმედებით გამსჭვალული გიგო დარისპანის ძე ურუშაძე. მართალია, განსვენებული გიგო მოხუცი იყო, მაგრამ ჩვენთვის, მუშებისათვის, მაინც ძნელია ისეთი ადამიანის დაკარგვა, როგორიც იყო გიგო; ხშირათ გვსმენია განსვენებულისაგან გამხნევება-დარიგება და იმედი. რამდენათაც კი შეეძლო გიგო ხელს უწყობდა მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთ. ის გულკეთილი, კაცთმოყვარე, მშვიდი და პატიოსანი ადამიანი იყო. მას, მისი გულ-კეთილობით, დიდი სიმპატია ქონდა მოპოვებული, როგორც მუშებში, ისე მის პირად ნაცნობებში. 5 თებერვალს განსვენებულის დაკრძალვას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. განსვენებულის კუბო მრავალი გვირგვინებით შემკეს.

საუკუნოთ იქნება მისი ხსენება ჩვენ შორის.

ას.-ამ. მაიდნელი.

## დიდუბის სამკითხველოს კურთხევა.

კვირას, 7 თებერვალს, როგორც აღნიშნული იყო გაზეთებში, აკურთხეს დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

მიუხედავათ იმისა, რომ ხსენებულ დღეს ბევრი სხვა ღირს-შესანიშნავი საქმეები იზიდავდა მცხოვრებთ, როგორიცაა დაუვიწყარ ს. ჟუჟუნის პანაშვიდი, „წრის“ კრება, ამხანაგობა „კაპეიკას“ კრება, საინტერესო ლექცია კომეტაზე და სხვა, მაშასადამე მცხოვრებთა ნაწილი იქითკენ იყო წასული, კურთხევას მაინც ბლომათ დაესწრო ხალხი.

კურთხევას დაესწრო აგრეთვე: ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების, ქალაქის თვითმართველობის, ადგილობრივ რუსულ-ქართულ-სომხურ რედაქციების წარმომადგენლები. დღის 12 საათზე მოვიდა ორი მღვდელი და მგალობელთა გუნდი ბ-ნ სტოშკოვის თაოსნობით.

ხალხში მხიარულობის ჟრიამული ისმოდა, გაფაციცებით ათვალიერებდენ ყოველივე კუთხეს სამკითხველოსას. ცოტა ხნის შემდეგ დეკანოზმა ნ. თალაკვაძემ მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ და სხვათა შორის სთქვა: „დღევანდელ დღეს ყველა ჩვენგანი აღფრთოვანებით მოელოდაო. შეეხო ბიბლიოთეკის მნიშვნელობას და დასძინა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეიდან ბევრი აცდება სარდაფებში მანეთების ხარჯვას და დარწმუნდებიან, უკეთეს სულის საზრდოს ჰპოვებენ სამკითხველოში. ამით მოიპოვებენ სიფხიზლეს და სულიერ სიწმინდეს და არ გახდებიან სიმთვრალის მსხვერპლნი, ამით განთავისუფლებენ თავიანთ ოჯახს იმ დესპოტებისაგან, რომელსაც აყენებდა ზოგიერთები თავისი სიმთვრალით. ეს დაწესებულება მარტო ამით როდია ძვირფასი, არამედ მით, რომ აქ იყრის თავს ყველა განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა, წოდებისა, სქესისა და წლოვანებისა და ერთმანეთს ეცნობიან და უახლოვდებიან,—დაასრულა სიტყვა. შემდეგ შეუდგა კურთხევას. კურთხევამ კარგა ხანს გასტანა—ხან რუსულათ ხან ქართულათ. გათავების შემდეგ, სანამ ხალხი დაიშლებოდა, ბ-ნმა ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის თვითმართველობის სახელით. მან სიხარულით აღნიშნა ხსენებული დღე და თავის გრძნობიერ სიტყვაში სხვათა შორის თქვა: „წავიდა ის დრო, როცა დაბალი კლასი მაღლიდან მოელოდა შველას და თვალცრემლიანი შესცქეროდა მათ: აბა რას გაიმეტებს ჩვენთვისო. დღეს ყველა დარწმუნდა, რომ ხსნა თავის საკუთარ მოქმედებაშია და არა სხვების შებრალებაშიო და აი, ნაყოფიც, რისთვისაც ჩვენ მოვსულვართ დღეს მათთან ერთათ ვდღესასწაულობთო. დასასრულ უსურვა სულით და გულით წარმატება ამ სიმპატიურ დაწესებულებას და ქალაქის თვითმართველობის სახელით დახმარება აღუთქვა.

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა [illegible] ბ-ნმა დ. ბოცვაძემ მან წ.-კ. საზ. [illegible] სახელით მიულოცა დიდუბის მცხოვრებთ სამკითხველოს გახსნის დღე. მან უმთავრესი ადგილი დაუთმო თავის სიტყვაში წიგნების ახსნა-განმარტებას და მის დანიშნულებას თუ რა არის წიგნი. ბოლოს იმოწმა მსწავლულები, რომლებიც წიგნებს მეგობრებს უწოდებდენ, მეგობრებს საუკუნის ხსნისას და უკვდავების. მან მოუწოდა დამსწრეთ ამ უკვდავ და კეთილ მეგობრისაკენ, ესენი არიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოებიო. წ. კ. საზ. არ მოაკლებს შეძლების და გვარად დახმარებას ამ ბიბლიოთეკასო, გაუმარჯოს [illegible] თაოსნებს, რომელმაც ამ კეთილ საქმეს საჭირო ჩაუყარა და ბინაც დაუთმო, გაუმარჯოს იმ ჯგუფს, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით შესძლო ამ საქმის დაგვირგვი ავშირების,
გაუმარჯოს იმ მკითხველებს, რომლები ობს? თვით
შეისწავლიან აქა და სხვასაც გაუზიარებ რების პო-
დააბოლოვა თავისი სიტყვა. ნა ამას არ
მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვა გაგძელ-
მოსთქვა აგრეთვე ბ-ნმა ნ. კარა-მურზ ვს თქვას,
თავის სიტყვაში განუსაზღვრელ ტიკური ცხო-
გრძნობს, რომ ასეთ უბნებში გარაო, თუ
დრმა სურვილია. უღრმესი მა ით, ამგვარმა
ჯგუფს, რომელმაც გადალახა ყოვე სეთის პოლი-
კოლება და ასე მოკლე დროში ინციპიალურ
ფრიად სიმპატიური საქმის მო ვებამ საფრანგე-
თი ენერგიის ხალხისაგან კიდე ს.-დემოკრატიულ
სალოცნელით. ბ-ნმა ე. ბუღსკნელი იძულებულ
ვის სიტყვაში სხვათა შორის ნკეტზე დასწრე-
ხილდეთ, ბატონებო, ამ სათუ ა საორგანიზაციო
ბას, ნუ მოვაკლებთ ჩვენ ზრ
თუ ხორციელი საზრდოსთვის
გვშურს, ნუ დავიშურებთ ს ები
დოსთვის კაპეიკებს და მაშინ ა სააგენტოსაგან)
დღებო ჩვენი კაპეიკებით აუვ ვალი
თოვდება, გაივსება მრავალი
ოსმალეთი
და მასთან ერთად აყვავდე ნა ოფიციალუ-
ჩვენი გონიერებაც, რაც უფ აბდულ-ჰამიდის
ადამიანის სამკაულს შეადგენ
დამსწრეთა სიხარულს რზე შეტაკება,
და. ყველა კმაყოფილება ეს ერთი ოსმა-
ხი კიდევ დიდხანს ამი დაჭრეს, საქ-
თითქო კიდევ მოელი სამხედრო მთავრო-
ყვებსო, რადგან გამოძიება. საქმე
ყველა. წესიერება არ აკებით გათავდება.
ხნის შემდეგ ხალხი ცეცხლის გაჩენის
ხნის შემდეგ სამკითხვე კომისიამ გამოა-
ისევ აივსო. ხსენებული გაჩენა ბოროტ-
რედაქციებს ვსთხოვეთ გა ა.
დან უფასოთ დაეთმოთ, მა
ზღვარ-გარეთ
ლოდ „ახალი სხივი“ და დეპეშით ატყო-
მოგვივიდა; დანარჩენი ვიყიდ ტიბეტელ ორი
თუ ყველა რედაქციები შეგვ სავლეთ ტიბეტ-
მარეობაში და ერთი წლით ცვა ეკლესიები
მოხენ. განსაკუთრებული თხ ები. შიკრიკებს
მივმართეთ იონ ინდოეთის
გარემოებას ყუ-
ბ-ნ ლევ. უიფიანის წერ რომ ინდოეთი
(წერილი რედაქციის ს ზომები უწე-
გაზეთ „ზაკავკაზიე“-ს
გან უიფიანის წერილი იყუარისტ ერვეს,
სადაც ის, სხვათა შორის, ის საწინააღმდეგო
სნიეს. იმ პირობაზე, ლებდენ, სასამარ-
ჩემსა, მირზოევსა და ნაგ ე და ათასი ფრან-
სწერს ბ-ნი უიფიანი, ა.
ხელი, რომ ბ-ნ მირ სეტი) ბამბის ყვე-
მრწამდათ. მრწამდა იმიტონეს შეამცირონ
მირზოევთან მეგობრულ მხოლოდ ხუთი
ქონდათ ყველასაგან 25,000 მუშა
არღუთინსკის, ს. ჭრელაშვი
გ. ჯაფარიძესო. ამიტომ ატყობინებენ:
თვის, უიფიანისთვის, მირალში 7000 მუ-
რომ ჭრელაშვილი, ჯაფარიძე ობდა ტიბეტის
დათ და მაღალ ზნეობრი ის იარაღების გა-
რობას, რომ ნაგურსკის
ბაზე ხელი მოუწერათ. პალატამ აირჩია
ბოლა მე და ელიავას მი ზიდენტი: რომან-
რული დამოკიდებულება, ანჩი—იტალიელი.
ხასიათა ნ. ელიავამ თავი უტების შესახებ
დიც „ზაკავკაზიე“-ს ლოვას, რომელიც
თავსებული, მაგრამ ამაზ კომისიას გარდა-
კავშირიც რომ უფილი რულ დეპუტა-
ზოვებს შორის, ეს მაინც სტი განაცხადა,
უიფიანისა და ნაგურსკ ლიციაში რუსულ
ბელ საბუთათ. მე მგ დენტს წინადადე-
უცხადესია და ამაზე ინტერპელიაცია.
რაც შეეხება იმას, რომ პალატა. მორ-
ღვევან უიფიანი შეცდომაში ღოეთის მთავ-
რემოებით, რომ ვითომ დაიცავს დიდი
ქეთ და ვადიდეთ მათ მი
ბა, ამის შესახებ მოვა რუსე
რომ არც ეს საბუთი გა რკინის ჩვენც
სამართლებლათ, მით მი ხვაზე თ და რამ-
თითონ აღიარებს, არ ავის ი მაშინვე
კის ამის შესახებ ელ-გურჯი სგ
იქნება.)

---

მაგრამ ხომ ყველა ჰხედავთ, ვინა დევს უსულოთ თქვენ წინაშე. ეს არის გურჯი შალვა, შვილი გურჯისტანისა. დღეიდან ერთხელ კიდევ უნდა დავინახოთ და დავრწმუნდეთ, რომ თუ ჩვენ სამშობლო ირანს, მრავალი მტერი ჰყავს, მოყვრებიც საკმაოთ მოეპოვება.

ეს ჩვენი მოყვარე ხალხი ირანისა გურჯებია—და გაიგეთ კარგათ, რომ დღეიდან ვერავითარი ძალა და შური ვერ შეარყევს ჩვენ და გურჯთ შორის მეგობრობას და თავისუფალი ირანიც ღირსეულ პატივს სცემს გურჯისტნის შვილებსაო...“

როდესაც პროცესია დაიძრა, ევროპიელმა ქალებმა ყველამ ტირილი და ქვითინი მორთეს. სპარსელმა ქალებმაც მიჰბაძეს მათ და ლოცვა-კურთხევით იხსენიებდენ დახოცილთ.

საფლავზედაც სიტყვები წარმოითქვა რუსულ და ფარსულ ენებზედ და როდესაც კუბო ჩაუშვეს სამარეში, რაზმმა სამჯერ მისცა ჰაერში ზალპი, მუსიკამ სამგლოვიარო მარში დაუკრა და ის იყო დაიწყო მიწის მიყრა, რომ შორიდან გამოჩნდა ცხენოსანი ჯგუფი. ყველამ იცნო, რომ ცხენოსანი ჯგ. ყაზახებისა იყო. ის იყო სროლა დააპირეს რევოლიუციონერებმა, რომ გამოჩნდა ეტლი, რომელშიაც ისხდნენ რუსის ელჩი მეუღლითურთ და საელჩოს მდივანი. როდესაც გაიგო ელჩმა ქართველი რევოლიუციონერის დასაფლავება, სასეირნოთ წარსულიყო; ვიღაცამ იცნო ეტლი და რევოლიუციონერები ხიფათისაგან გადაარჩინა... ამავე დღეს შესდგა ენჯუმენი (დროებითი მთავრობა), რომელიც განაგებდა მთელი პროვინციის საქმეებს. დაარსდა სხვა რამდენიმე დაწესებულება, მაგ. „კომიტე-სათთარ» „კომისიონ-ტენგ“ (სამხედრო შტაბი). სამწუხაროთ, ვერც ერთი დაწესებულება დღეს ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. ენჯუმენი რევოლიუციონერების ხელით მდიდარ რეაქციონერებს ფულს ადევინებდა. ამ ფულს კი დანარჩენი კომიტეტები ჰფლანგავდენ... ამავე დღეს შტაბის ქართველმა წევრებმა წევრობაზე უარი განაცხადეს და გადადგნენ. მიზეზი ის იყო, რომ ყველა იარაღს თხოულობდა, ყველა იპარავდა სასახლეში დარჩენილ თოფებს და მათაც არ იცოდენ ვინ იყო საიმედო პირი და ვისთვის მიეცათ იარაღი. მეორე მხრივ ბევრი „არა-მკითხე“ რაღაცას ლაყბობდა და თითონაც არა გაეგებოდა რას ამბობდა. შტაბის წევრებს წინ დაუხედაობას უძრახდენ, რომ იარაღი არ დაარიგეს ქვე და სხვა... ნაშოვნი იარაღი და ყველაფერი მკვიდრ მცხოვრებთ გადაეცა (ამორჩეულ პირთ) და ვინც უნდა მისულიყო იარაღს ყველას აძლევდენ. ისინი კი მიღებულ იარაღს ჰმალავდენ და ახლად თხოულობენ. გუშინდელი რეაქციონერი, დღეს წითელი ლენტით მკლავზედ დაჰრანდებოდა იარაღში გამოწყობილი და მცხოვრებთ აწუხებდა... ისე რომ, ორიოდე დღის შემდეგ ექვსას თოფში სამიც აღარსად სჩანდა და ახლად ჩამოსულ კავკასიელებისათვის იარაღი არსად იყო. ამავე დღეს რევოლიუციონერებმა ენზელში დაიჭირეს ხუთმეტი მაუზერი თოფი და ცამეტი ყუთი სხვა და სხვა პატრონა, რომლებიც გაიყვეს: დაშნაკელებს მიეცა სამი თოფი, სპარსელებს სამი, დანარჩენი ცხრა—ქართველებს და ამ იარაღით შეაიარაღეს ახლად ჩამოსული ჯგუფის წევრები. პანოვიც რამდენიმე ყმით ჩამოვიდა რეშტში. ჩამოსვლა უმალ ყველამ იჭვის თვალით დაუწყო მაყურება, რადგან მისი საქციელი, ბრძანების კილოთი ლაპარაკი, მიხვრა-მოხვრა და მზაკვრული ენა უფრო უნტერ-აფიცრისას ჰგავდა, ვიდრე რევოლიუციონერსას...

დროშაკლებს ხომ მთლად დავთარი აურია მისმა რეშტში ჩამოსვლამ და არ იცოდენ რა ექნათ, მაგრამ ამაზე-შემდეგ..

გურჯი სგო

(შემდეგი იქნება.)

კი არ ქონიათ. თუ ასე აფასებენ მე და ელიავას აზრს, რატომ ერთხელ არ გვკითხეს: ჩვენ ამა და ამ საქმის დაწყებას ვაპირებთ და თქვენ რა აზრისა ხართ ამის შესახებო... ჩემის აზრით უსაფუძვლოა და უმნიშვნელოა ის გარემოებაც, რომ შარშან ზაფხულში ჩემი თანადასწრებით ჭრელაშვილმა ურჩია მას ს. მირზოევისთვის მიემართა დახმარებისთვის. მართალია, მე მახსოვს ეს შემთხვევა, ესე იგი, მახსოვს, რომ შარშან ზაფხულში მე და ჭრელაშვილი ლევან ყიფიანს შემდაიტთან შევხვდით. მხოლოდ რა ლაპარაკი ქონდა მას და ჭრელაშვილს აღარ მახსოვს. ერთხელ კიდევ ვიმეორებ (პირველათ გაზეთ „მომავალში" იყო ჩემი წერილი მოთავსებული), რომ ა-ნ ბატაილის გამომცემლობამდის არც ერთი პირობის შესახებ არაფერი არა ვიცოდი-რა და თავის თავად ცხადია, რომ ამ დროიდან მე და მირზოევს შორის გადაწყვეტთარ პრინციპებზე და ხელშეკრულობაზე

რამა. ...რი ლაპარაკი არა ყოფილა. როდესაც
წერილის ბატაილის წყალობით ქალაქში ხმა გავრ-
ეცოდინება, ს. მირზოევი უსახელო საზოგადოე-
ა ეს, მე კან ქრთამს იღებსო, მე წავედი ქალაქის
. და ეს ირთველოში, რათა გამეგო რაში მდგო-
ვილ „პროკლა საქმე. იქ შემხვდა ბ-ნი მირზოევი,
! მას არა ჰ მაც მომმართა თხოვნით მიმეცა მის-
ობა სათემო აფერი რჩევა. მეც ავასრულე მისი
ოლე ხმით სჯდა მივეცი შემდეგი რჩევა: „თუ გან-
. საქმე მიმდ ჩვენ თვალში და საზოგადოების
82 ნაციონალ მიდათ დარჩე, უსათუოთ უნდა უჩივ-
ლეს თვისი წატაილს ცილის წამებისათვის-მეთქი."
ა დაეცეს, თაპარაკის მეორე თუ მესამე დღეს
საჭიროა მა სამმართველოში მოხდა კერძო თათ-
ათ მათ, რა რომელსაც დაესწრო თვით ბ. ყიფია-
ნი სამინისტრო თათბირზე გამოირკვა და თვით მირ-
ვენ უკანასკნელ დაამოწმა, რომ ამ დღემდინ, ე. ი.
ტის ამლაგმველ თათბირამდის, არც მე და არც ნ.
ციონალისტები არც ერთი პირობის შესახებ არა
ოს შეზღუდვი რა, რომ არც მირზოევს, არც ლ.
ს განხორციელ არც ვ. ნაცურსკის ჩვენთან იმ
რო შორსაც შესახებ არასოდეს არა ულაპარაკ-
ორდთა პალატ რომ მირზოევმა მომმართა მე
დგან ის, მათის ისტს მხოლოდ მაშინ, როდე-
ურ კანონმდებლო ს შესახებ ქალაქში ხმები
აფერი. ყველაფერი უნდა იცოდეს
მაგრამ სწორეთ ამ მელიც, როგორც წინეთ
ტორ—იმპერიალისტურს დაესწრო და მიკვირს,
ის არიან. ისინი ამტკცარა სთქვა ის, რაც თავის
ოს შემზღუდველი მანნა. რაც შეეხება ჩემ აზრს
აც არ მიუციათ მთავრობისა და მირზოევის საქ-
ჭიროა ზომიერი სი მევე გამოვთქვი ზემოაღნიშ-
ოზზერის მეთაურო თათბირზე, თუ კიდევ რამე ყო-
ვეს ლორთა პალატ ს შესახებ—ეს მოვახსენე იმ
ს და ბიუჯეტსა მელიც ჟურნალისტთა საზო-
ციალისტურ" სამკა იყო არჩეული. დარწმუნებუ-
ლიბერალნიც თან მისია, სხვათა შორის, სხვა
ათ იმ ჩემ ჩვენებასაც გამოაშ-
გაზეთებსმც ეს ჩემი წერილი

კ. ჯაფარიძე.

კ. ჯ.

—

# სიმღ

## ვინცია

არა, არ ვსტირი
სრულიათაც არ დ
თუმცა შავ-ბედის
ზარემ ბევრი მაქვს ქის რაიონი, (ქართლი).
არ ვსტირი, თუმცა ისე გავიდა, თოვლი არ
ბევრჯელ გამომდო ლი მზიანი დარი დგას;
ბევრჯელ საზარ მტ მუშაობს. ნათესი ჰირ-
ჩემზე უცდია სრბოლ ზარდა რომ ბევრგან ძა-
არ ვსტირი, თუმც საქონელს, რომ ზრდა
ტატნობსა ჰფარვენ ულს, როგორც ყოველ-
და შხამ-ბალღამსა ჰ იკათ იკრიფება ყოველი-
ჯოჯოხეთური ბნელ განსაკუთრებით მიწის
* აცენკა" როგორც აქ ეძა-
ტირილი, ა ძველს და ახალს გადა-
ცრემლთა ფ საქონელს, ჰინახულს,
ბედისა, მდ და სხვას ვისაც გადახ-
ვიში გლოვა რ აქვთ. უწერენ აგრეთ-
წესია მხოლ რთაც. გლეხკაცი ჰყიდის
სულით მდაბ ოვრებელს რომ ხარჯი
უგზო-უკვალ დგან ხალხს გამოუცხა-
მიწებრ მავალ არ გადაიხდის პირველ
ყოველ თითო მანეთს
* ათი შაური ჯარიმა გადა-
მე კი ღამისა საზ იანვრის დამდეგს ხალხს
გული მელგზნება, მ რომ მთავრობის მამასა-
და იმედების გრძნ ნებოლდათ, თანახმათ ნა-
მარად ამ სიტყვებს კულიარისა, რომლითაც
„ცხოვრების ჩარხის კელ იანვარს გასდიოდა,
„არ დამორჩილდე, ვლენ. ეხლა მთავრობისა-
„მის აგორებულ, ებით ოთხ საზოგადოება-
„მედგრათ გასწიე რუნეს ისინი და ამნაირათ,
„იცოდე, რომა ეთ დააწვათ მათი ჯამა-
„მალე იძლევა გრ ტვირთათ, რომლიდანაც
„და ამაყათ მსვლე მლი საშვალო რიცხვით
„სხივი დიადი თ ა მანეთს წელიწადში. ამ
ვისმენ რ ის ის გადასახადი, რო-
უფრო ვმხნ ლი სოფელი იხდის მა-
მოსულ ვარაუ
ფოლადებრ ვხვდ
სულ წი მივილ

მასახლისის თანაშემწეების, გზირების და სხვათა შესანახათ. და ეს მით უფრო მძიმეა გაყვლეფილ ხალხისათვის, რომ ხსენებულ ფულს უმეტესათ ყველას თანასწორათ აწერენ და რასაც შეძლებული იხდის, იმას ლატაკსაც ახდევინებენ. ხალხს თხოვნაც ვერ გაუბედნია ამის თაობაზე, რადგან, თუ ხმა ამოიღო ვინმემ, მას კარგი არ დაემართება.

ამ რაიონში გარდა რამდენიმე სოფლისა ყოველგან არსებობს სკოლა. მხოლოდ მათ გაუმჯობესება, წინ სვლა ჯერჯერობით არ ემჩნევა ახალი და უკეთესი ტიპის შკოლების დაარსებაზე არც ერთ საზოგადოებაში ჯერ ხმა არავის ამოუღია, მიუხედავათ იმისა, რომ ხალხში სწავლისადმი სურვილი შესამჩნევათ მატულობს. არის ასეთი მაგალითები: ბავშვი ეუბნება მშობლებს: „თუ მასწავლებელი უადგილობის გამო არ მიღებს შინიდან წავიღებ სკამს და ისე დავჯდებიო. სასურველია აქეთი მხრის მასწავლებლები ამოიღებდენ ხმას შკოლების და სწავლა-განათლების გაუმჯობესების და წინ-წაწევის შესახებ; იმედია ხალხში მათი ხმა არ დარჩება „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და სწავლა-ცოდნა მოწყურებული ხალხი უკანასკნელ გროშს თავის ლვიძლის საქმისთვისაც არ დაიშურებს. თუ კულტურულ—განმანათლებელ საზოგადოებისათვის არავინ იტკენს თავს, სამაგიეროთ: ლოთობა, ერთმანეთის გაუტანლობა, მაბეზღრობა და სხვა არა სასურველი ჩვეულებები ხშირია.

ჰირნახულის ფასებმა ახლავე საგრძნობელათ აიწია: პური ხუთი—ექვსი მანეთი, სიმინდი ოთხი მანეთი ფასობს. აქეთ სოფლებში სხვადასხვა ავათმყოფობაცაა გავრცელებული. გ—ი.

—

**სოფ. აკეთი** (გურია). 2 თებერვალს აქ მოხდა საზოგადოების ყრილობა, აქ არსებულ ორ-კლასიან სასწავლებლის შეკეთების შესახებ. საზოგადოებიდან არჩეულმა „ვექილებმა" საზოგადოების წარუდგინა წინასწარი შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა და მასთან ერთად ვრცელი მოხსენება, სადაც უთითებდენ სკოლის გადაკეთების აუცილებლობისაკენ და ამისთვინ ქვის შენობის აგების საჭიროებას. ყრილობაზე ამ საკითხს ხალხი მეტათ გულ-მხურვალედ მოეკიდა, რაც ამტკიცებდა იმას, რომ დიდია ხალხში სწავლა-განათლების შეძენის სურვილი. გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: რადგან ყველა სოფლებს (აკეთის საზოგადოება შესდგება 6 სოფლიდან) აქვს 2 ორ-კლასიანი სასწავლებელი და სადაც არ არის, იქ უნდა გაიხსნას მოკლე ხანში, ამისთვის ჩვენთვის აკეთში ორ-კლასიან სასწავლებლის გადასაკეთებლათ ხარჯების გაღება მეტია და მასთან უსარგებლოც. ამისთვის გაკეთდეს სრულიად ახალი ქვის შენობა, რომელიც უნდა გამოდგეს სამოქალაქო ოთხ-კლასიან სასწავლებლისთვის. ხალხმა განაჩენი დაამტკიცა და აირჩია 7 კაცი, რომელთაც ევალებათ უხელმძღვანელონ შენობის აგების საქმეს და შეადგინონ საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა ორ-სართულიან ქვის-შენობისა. აქვე განზრახულია სამეურნეო სასწავლებლის აგება, რისთვისაც აღძრულია შუამდგომლობა მამულების პატრონებთან, რომ დაეთმოს საზოგადოებას საჭირო მიწა ჯელ-საყრელ პირობებში. ე—ლი.

—

**ს. კაცხი.** (შორაპნის მაზრა). რომ იტყვიან: „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე"-ო, სწორედ ისეა ამ სოფლის გლეხების საქმე. რაც დრო გადის დანოსების წერა და დაბეზღლება თან და თან მატულობს, ლამის არის ჩვეულებათ გადაიქცეს. უკეთუ პირადი ინტერესები აქვს ვინმეს—ბრძოლის საუკეთესო საშუალებათ ხდის დანოსს და დაბეზღლებას. ამას წინათ გუბერნატორს დანოსი გაუგზავნეს კაცხის საზოგადოების მამასახლისი—კუპატაძე, ვითომც რაზმელი იყო და მონაწილეობა მიიღო წიფის სადგურზე სალდათებზე თავდასხმაში. ყველა გაკვირვებულია როგორ მოჩმახეს ასეთი ბრალდება; კუპატაძეს, არამც თუ რაზმში არ მიუღია მონაწილეობა, არამედ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, კრებებსაც კი არ დასწრებია, მაგრამ, როგორც სჩანს, მიზანი სულ სხვაა. ზოგიერთ ვაჟბატონებს სურდათ მამასახლისობა ხალხის ტყავის საძრობათ და რადგან ვერ მიაღწიეს მიზანს, მიჰყვეს ხელი დანოსების წერას. ამ დანონის წყალობით გამოძიება უკვე დაინიშნა და ვნახოთ რა შედეგი მოჰყვება. მე აქ არ ვიხსენიებ იმ ვაჟბატონების წვრილ მოქმედებებს, რომლებიც ათას ნაირ გაჭირვებაში აყენებენ ისედაც გაძვალ-ტყავებულ გლეხობას. ვნახოთ, როდის მოეღება ბოლო ამ ვაჟბატონების თავხედობას!

ამას თან მოყვა შიმშილობა. მთელ საზოგადოებაში მეათედი კომლი არ მოიძებნება, რომ სიმინდს არ ყიდულობდეს დეკემბრიდან. ჩ—ა.

—

**მეტეხის საზოგადოება.** ამ საზოგადოებას მამასახლისი ისევ დაუბრუნდა, როგორც ამბობენ სამი თვის ვადით, მამასახლისათ ვეზირიშვილის ადგას გადმოიყვანეს აქაურივეაზნაური ბოჭორიძე.

აქ ამ ბოლო დროს თავი იჩინა სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებამ. იანვრის პირველ რიცხვებში სოფ. მეტეხში საბძელი დაუწვეს აზ. კვალიაშვილს, სადაც დაიწვა სახლის მასალა, რომელიც საბძელში ელაგა. ზარალი სოფელს აზღვევინეს, რადგან დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს. ნამუენის გაკაფვა მოხდა აგრეთვე სოფ. ხანდაკში. საკვირველია, რომ ყველა ამას წინდაწინვე მოფიქრებული მოქმედების ხასიათი აქვთ და შეფარდებულია პირველ იანვრის რიცხვებთან. ამნაირათ ბოროტების ნამდვილი ჩამდენნი უმეტესათ დაფარული რჩებიან და ზარალს ხალხს ახდევინებენ. კარგი იქნება ხალხი თვითონვე მიიღებდეს შესაფერ ზომებს ნამდვილი დამნაშავეების აღმოსაჩენათ, რომ ყველამ გაიგოს ვინ და რა მიზნით ჩადის ამ აშკარა ხალხის საწინააღმდეგო ბოროტ-მოქმედებას. ამას წინათ აქ მოხდა ყრილობა ახალი მამასახლისის თანადასწრებით და მისივე თაოსნობით მთელი საზოგადოებისა, სადაც ხალხმა ამოირჩია თითო კაცი სოფლიდან, სულ ხუთი კაცი, რომელთაც შიანდო ყველა საერთო სამართველოს და მოსამსახურეთა ხარჯების ანგარიშის გაწერა და კონტროლი, რადგან წინანდელ მამასახლისის ხელში ბლომა ფული აღმოჩნდა გაფლანგული. მათვე დაევალათ აგრეთვე მთავრობასთან შუამდგომლობა მამასახლისის და სტრაჟნიკების თაობაზე და თავიანთ მამასახლისის არჩევაზე. ვნახოთ მოხსნის შეასრულებენ თუ არა ხსენებული, ხალხის მიერ რწმუნებული, პირნი მათზე დავალებულ საზოგადო საქმეებს.

აქაური.

## მუათშა შორის

—

**ფოთი.** უკვე აღვნიშნეთ ამას წინათ, თუ როგორ ფანდებს მიყო ხელი მარგანეცის მუშების ერთმა ჯგუფმა დანარჩენ მუშების დასამარცხებლათ. ამის შემდეგ საკმაო ხანმა განვლო და „გაპოდრიაჩიკებულნი" კვლავ განაგრძობენ საკმირო საქმეს. მათ ყოველგვარ საშუალებებს მიმართეს, რომ სხვა ფირმებიც ჩაეგდოთ ხელთ. ისინი დასცინიან უმუშავართ დარჩენილ მათ ყოფილ ამხანაგ მუშებს. ამ დღეებში სხვების ჯიბრზე იოსე რუხაძემ და კომპანიამ სოფლებიდან ჩამოიყვანეს 50-მდე მუშა, რომლებსაც დაპირებიან გაძევებულ მუშების ადგილს. ამ გარემოებით მეტათ გახარებულნი არიან აღები და საზოგადოთ მუშათა მტრები და როცა ნამდვილი მუშები აღებთან მიდიან და ევედრებიან: „თქვენ კონტრაქტი არ შეგიკრავთ ჯერ და ნუ გადასცემთ სხვებს სამუშაოსო", აღები საზიზღრათ ხითხითებენ და უპასუხებენ: „თქვენმა ამხანაგებმა არ დაგინდვეს, ქუჩაში გიგრეს თავი და ჩვენგან რას მოელით არ ვიცითო?"

ამრიგათ, ხსენებულ 12 კაცის იმედი რაიმე დათმობაში, ეგ ილიუზია იქნება. ისინი როგორც ნაძირალნი, რაც დრო გადის, მით უფრო უტიფრათ და აშკარათ მოქმედებენ დანარჩენ მუშების წინააღმდეგ. თვით დაბეზღებასაც არ ერიდებიან. ღღეიდან მაინც გაიგოს მკითხველმა, თუ ვინ ბძანდებიან ეს ვაჟბატონები! ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ მათ სახელსა და გვარებს. ესენი გახლავთ:

კირილე ბოცვაძე, იოსე რუხაძე, პავლე სტურუა, სერაპიონ ბანძავა, ბუხუტი დარსევლია, კოლია ლენქვინაძე, ამბაკო მოსეშვილი, ერმილე ჩაჩავა, სევერიანე გვაზავა და მიხა კუჭუხიძე.

აი, ამ ვაჟბატონებმა ჩუმათ, ქურდულათ, ორი გროშისთვის გაყიდეს მუშათა ინტერესები. მათ ცინიკურათ გასთელეს ფეხქვეშ პლატფორმის მუშების ისედაც გათელილი პირობები. იმათ ჩაიდინეს მომაკვდინებელი ცოდვა და ეხლა კიდევ მეტს იქადიან.

გალია.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „ახ. სხივში" შემდეგს:

5 თებერვალს, ქ. ახალციხეში—კლუბში—დადგმულ იქმნა წარმოდგენა ახალციხის ძველი—ნაწილის ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ბიბლიოთეკა—სამკითხველოს სასარგებლოთ; წარმოადგინეს „მეზობლები"—რაიშვილისა. შემოვიდა ბილეთებიდან 214 მ. 80 კ., ბუფეტიდან 31 მ. 7 კ., შემოწირულება 14 მ. 80 კ. და სრულიად შემოსავალი იყო 260 მ. 67 კ.—დაიხარჯა: კლუბის ,ათბობა-განათებაში და კლუბის სასარგებლოთ შეწირულება 24 მ. 50 კ., საზანდარი 5 მ., პარიკმახერს 4 მ., აფიშები და პროგრამები 2 მ. 50 კ., მარკები 13 მ. 90 კ. და სხვა ხარჯი 37 მ. 18 კ., სულ დაიხარჯა 87 მ. 8 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა 173 მ. 59 კ., რომელიც გადაეცა ბიბლიოთეკის მდივან-ხაზინადარს როზალია გრიგოლის ასულს ალელიშვილისას—ბიბლიოთეკის გამგის მდ. ბ. კანდელაკის თანდასწრებით.

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ბ. კომანდირს 77 ქვეითი ტენგინის პოლკისას გ. ვ. ეპგერტს, რომელმაც სამხედრო მუსიკა უფასოთ დაგვითმო, თავ. გ. ნ. თუმანიშვილს და ყველა იმ პირთ, რომელთაც დახმარება გამიწიეს, სცენის მოყვარე ახალგაზდობას, შემომწირველთა და პატივცემულ საზოგადოებას, რომელნიც დაესწრენ წარმოდგენას.

გამგე წარმოდგენისა
ქეთევან კანდელაკისა.

—

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით გულითადი მადლობა გამოვუცხადო იმ კეთილ და ღარიბი ხალხის სწავლა-განათლებისათვის გულშემატკივარ ადამიანებს, რომლებმაც არ დაიშურეს შრომა და თავიანთ ნაცნობებ შორის შეაგროვეს წვლილი ჩოხატაურის უფასო სამკითხველოსათვის: საჩხერიდან ქ-ნ ოლია სურგულაძისაგან მივიღეთ 23 მ. შემომწირველთა სია: თ-დ ბიჭიკო წერეთელმა, თ-დ ფრიდონ წერეთელმა, ექიმმა სევერიან ჭოლოშვილმა—სამ-სამი მანეთი. კნ. ვერა წერეთლისამ, თ-დ ოლია სურგულაძემ, პეტრე აბაშიძემ—ორ-ორი მანეთი. უსახელომ, ეფროსინე წულუკიძემ, პავლე აბაშიძემ, მატრონე კეიდიამ, ტარასი თოფურიამ—თითო-თითო მანეთი. ი. კვიტაშვილმა, საშა ჯაფარიძემ, ელენე აფეთაძემ, უსახელო მასწავლებელმა, № 3 უსახელო, № 7—ათ-ათი შაური.

ქ-ნ მაშო ჩიხლაძემ შემოსწირა 20 კ. სასწავლო ლიტერატურის წიგნები, მანვე ნაცნობებ შორის შეაგროვა 2 მ. 15 კ. მათი სახელი და გვარი: ევსევი ჩიხლაძემ 1 მ., ბიქტორ საკანდელიძემ 50 კ., დ. ბახტაძემ 25 კ., ნ. გაჩეჩილაძემ 20 კ., № 20 კ.

ქ-ნ ლუბა თავართქილაძემ შეაგროვა 3 მ. 20 კ. სია: მიხა ინწკირველმა 25 კ., ექ. პოლ. კიკალიშვილმა 50 კ., დარია ნ. ბახტაძემ 50 კ. ოზურგეთელმა 5 ცალი წიგნები, ვარლამ ძიძიგურმა 50 კ., ვანო მენაბდემ 25 კ., ალ. მელიამ 40 კ., ლ. ზერაგიამ 30 კ., გ. სალარაძემ 20 კ., ბათლომე მასხულიამ 25 კ.

კოლია სიხარულიძისაგან მივიღეთ 40 ცალი სხვადასხვა წიგნები. იასონ წერეთელმა ათი ცალი სხვადასხვა წიგნები, მარუსია ივანოვმა 1905 წ. »Журналъ для всѣхъ", ანდრია ღულაძემ ათი „ჯეჯილი", 29 ნაკადული და ერთი სურათი ქართ. მწერლების ჯგუფი. ალექსი თ შვილმა ათი ცალი სხვადასხვა წიგნები, სიმე რამიშვილმა 35 კ., სწირა 3 მ. ღირებული ხელმ

სამკითხ: გამგე ს. თავართქილა

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლო №-ში დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

12 დეკემბერ წარსულ წლის, სადგურ ე ნის ტელეგრაფის მოხელეს ბ. იოსებ ნემსა გადავეცი 21 მანეთი და 35 კაპ. გასაგზა ერევნის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორიდან ევის ინსტიტუტის ჩემი ძმის სახელზე. ეს ლი, ბ. ნემსაძეს, როგორც გამოირკვა მი სებია და დღემდის არც უგზავნის ჩემს ძმა არც მე მიბრუნებს; თანაც მიკიბულ-მოკიბ სიტყვებით ყოველ დღე მატყუებს, რის გა ბ. იოსებ ნემსაძეს ვიწვევ საამხანაგო სასამა ლოში. ვნიშნავ რა ჩემ მხრით მედიატორე ბ. ე. ცხადაიას და ი. სურმავას, ვაძლევ კვირის ვადას ამა წერილის გამოქვეყნების დ დან დაასახელოს თავისი მედიატორები. წ აღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები საშუალებებს მივმართო.

ვარლამ ბურჯენაძ

რედაქტორ-გამომც. მ. არველ

განცხადებ

კბილის
საექიმო კაბინეთ
იოჯველისა
(„გაუფრთხილდით კბილებს" ა
რის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმ
ღრძილების, ძირების და პირიდან
დი სუნის. ხელოვნური კბილების
მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის
სკოლის გვერდით. (100—

### მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.
საათები აღნიშნულია თფილისის დროზ

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ.
სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ.,
სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ.
შერეული მე-IV კლასის ვაგონებ
106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ.
ლით; სამგზავრო № 5, 1 ს.
სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. სა
შერეული მე-IV კლ. ვაგონებით,
28 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**ბაქოდან:** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ.
სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ.
სამგზარო № 11, 10 ს. 47 წ.
შერეული მე-IV კლ. ვაგონებით
3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს. 40 წ.
ღამის; სამგზავრო № 6, 7 ს.
დილით; სამგზავრო № 8, 12 ს.
დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონ
№ 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

**მიხაილოვში:** სამგზავრო-საქონლის № 9,
23 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის №
8 ს. 23 წ. დილით.

წელიწადი 1910 წლისათვის მეორე.
მიიღება ხელის მოწერა
ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

მათრახი

და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელ წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება
ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома"
Васілю Карамановичу Болквадзе.

სტამბა „შრომის" რუსის ქუჩა № 3.